საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№ 01-04/66 ბ რ ძ ა ნ ე ბ ა 109 2022 წ.

MES 6 22 0000978166

01/09/2022

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ დარეგისტრირებული აპლიკანტების შერჩევის ღონისძიებათა და შეფასების კომისიების შესახებ

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“, დარეგისტრირებული აპლიკანტების შესარჩევად, ვბრძანებ:

1. დაევალოს სერგო სვანაძეს, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს, შეფასების ორგანიზებულად და კოორდინირებულად ჩატარების საერთო ზედამხედველობა და ადმინისტრირება;

2. დამტკიცდეს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ დარეგისტრირებული აპლიკანტების შერჩევის მიზნით შეფასების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა. ხათუნა რუსაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
ბ. ნანა ჯულაყიძე - საქართველოს ბიოტექნოლოგთა ასოციაცია, სასწავლო პროცესის კოორდინატორი იმერეთის რეგიონში;
გ. ნანა შარაბიძე - აწსუ, პროფესიული განათლების ცენტრი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
დ. გოჩა გიორგიძე - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ბიოუსაფრთხოების ოფიცერი.

3. პროფესიული მომზადების პროგრამებზე დარეგისტრირებული აპლიკანტების შეფასება ჩატარდეს 2022 წლის 07 სექტემბერს, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის #59, მეხუთე კორპუსი, აუდ.5105;

4. შეფასების ღონისძიებათა განხორციელებისას შესაბამისმა პირებმა თავიანთი უფლებამოსილებისა და ვალდებულებათა ფარგლებში იხელმძღვანელონ აპლიკანტების შეფასებისა და ჩარიცხვის წესი და პროცედურებით განსაზღვრული ნორმებითა და დებულებებით;

საფუძველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (10.04.2019 წლის №71/ნ) ბრძანება „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ"; ასწუ-ს რექტორის 20.06.2022 წლის №01-04/36 ბრძანება "პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის შესახებ"; ასწუ-ს უნივერსიტეტის რექტორის 30.08.2022 წლის №01-04/63 ბრძანება „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მიღების გამოცხადების, აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადების დადგენის, აპლიკანტთა შერჩევის თარიღის განსაზღვრის, ჩარიცხვის უფლებამოპოვებული აპლიკანტების მიერ საბუთების წარმოდგენის ვადის განსაზღვრის, ჩარიცხვის თარიღის, პროფესიული მომზადების/გადამზადების ელექტრონულ პორტალზე პროგრამებზე ჩარიცხულ მსმენელთა რეგისტრაციის ვადებისა და სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ".

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი როლანდ კოპალიანი

პროფესიული განათლების ცენტრის
ხელმძღვანელი სერგო სვანაძე